# რამდენიმე საერთოქართველური ლექსემისათვის

**ავტორი** მაკა ლაბარტყავა
არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (საქართველო)
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
**ელფოსტა:** labartkavamaka@gmail.com

**ანოტაცია**

მოხსენებაში განხილულია „მთა-კლდის“ ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები (**კონცხი**, **წვერო**, **ზეგანი**, **კინწრუხა**, **ქიმი**, **ნაპრალი**, **ცხვირი**, **შტო**, **გოხი**, **კალთა**, **ფიქალი**, **კინკრიხო**, **ცერი**).

გაანალიზებულია **მთა-კლდის** ნაწილების აღმნიშვნელი, საერთოქართველური ძირის მქონე ლექსემები [მაგ.: ს.-ქართვ. *__კონცხ__ „მწვერვალზე ასვლა, მწვერვალი“ → ქართ. **კონცხ**-ი : ზან. **კინჩხ**-ი || **კგნჩხ**-ი ← **კონჩხ**-ი: სვან. **კ̆ურჩხ-** || **კ̆ურჩხ** || **კორჩხ-** (←*__კონჩხ-__); ს-ქართვ. *__კონწ-__ „მწვერვალი, კენწერო, თხემი, თეძო“ → ქართ. **კონწ-უ-ხ-ი** || **კუნწ-უ-ხ-ი, კუნწ-ი, კუნწ-ულ-ი, კენწ-ერ-ო** ← *__კონწ-ერ-ო__ : ზან. **კვინჭ-ჷ-ხ-ე** ← *__კონჭ-უხ-ე, კუჭ-ან-ი__ ← *__კონჭ-ან-ი;__ ქართულში **ცერ** – **ცერ**-ი გვაქვს, რომელსაც მეგრულში **ჩანჯ** – (**ჩან** – **ჩანჯ**-ი **კით**-ი (**ჩან**-ი – **კით**-ი / **ჩან** – **კით**-ი „ცერი“ შეესაბამება, ხოლო სვანურში **ჩერ** – **ჩერ** –**შდ-ოლ** (ბალსზემოურში) **ჩერ** – შტ-ოლ / ლაშხურში), აღდგენილია*__ცერ__ არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის]...

განხილულია ის ლექსიკური ერთეულები, რომელთაც შესატყვისები ეძებნებათ ქართველურ ენებში.

აგრეთვე წარმოდგენილია მოტივაციით მიღებულ სახელთა ანალიზი.

**საკვანძო სიტყვები:** მთა, კონცხი, წვერი, ზეგანი, საერთოქართველური.